საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/30 “ 5 ” აპრილი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საერთო სასამართლოების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს „საერთო სასამართლოების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა“ თანდართული სახით.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

საერთო სასამართლოების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა

ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნული სტრატეგია 2021-2030 წლებისთვის ხაზს უსვამს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერების და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდის საჭიროებას. ამისათვის აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით ერთიანი, სისტემური და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი პოლიტიკის დანერგვა. ასევე, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მსგავსი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფა.

2014 წელს საქართველომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიცირება განახორციელა, რითაც ქვეყანამ, ერთი მხრივ, აღიარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, ხოლო მეორე მხრივ, იკისრა რიგი ვალდებულებები როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს 2020 წლის 14 ივლისის კანონი (შემდგომში - კანონი) მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ გარანტიებს ეროვნულ დონეზე. აღნიშნული კანონის მიზანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიების შექმნა და საქართველოს კანონმდებლობაში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაეროს კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების ასახვაა. ამისათვის კანონი ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებს სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის საერთო სასამართლოებთან მიმართებით.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სამართალწარმოების ხელმისაწვდომობას, რაც გულისხმობს როგორც შესაბამისი პროცედურული მექანიზმების შექმნას, ისე ნებისმიერ გონივრულ მისადაგებას იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა სრულფასოვანი მონაწილეობა შეძლოს სასამართლო განხილვის პროცესში.

კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ყველა ადმინისტრაციული ორგანო, მათ შორის სასამართლო, ვალდებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უზრუნველყოს არსებული და მშენებარე შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის უნივერსალური დიზაინის დანერგვა ან/და უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება, ასევე თავის სისტემაში არსებული ყველა შესაბამისი სერვისის სრული ხელმისაწვდომობა, შესაბამის საჭიროებებზე მორგებული, ადაპტირებული პროგრამებისა და მასალების (მათ შორის, აუდიოწიგნი, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნი, სურდოთარგმანი, სუბტიტრი) შეთავაზების ჩათვლით. ამავე მუხლის თანახმად, შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ზემოხსენებული ვალდებულებების შესასრულებლად უნდა შეიმუშაონ და დაამტკიცონ ადაპტირებისა და უნივერსალური დიზაინის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ვადების მითითებით.

კანონის გარდამავალი დებულების თანახმად, საერთო სასამართლოებმა 2035 წლის 31 დეკემბრამდე ეტაპობრივად უნდა განახორციელონ კანონის გამოქვეყნებამდე არსებული შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის, აგრეთვე არსებული სერვისების უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შენობის ადაპტირება შეუძლებელია ობიექტური ტექნიკური მიზეზების გამო, რაც უნდა დასტურდებოდეს სათანადო საექსპერტო დასკვნით, შესაბამის საუწყებო გეგმაში დამატებით უნდა იქნეს გათვალისწინებული მოქმედების ალტერნატიული საშუალებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

საბაზისო მაჩვენებლების გათვალისწინებით, სასამართლოს ხელმისაწვდომობის გაზრდა ხანგრძლივი პროცესია, რომლის ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელია ტექნიკური, ინფრასტრუქტურული, ფინანსური და სხვა საჭიროებების დეტალური განსაზღვრა. იმისათვის, რომ კანონის მოთხოვნების შესრულება მოხდეს 2035 წლამდე, აუცილებელია: (ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასამართლო შენობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; (ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასამართლოს სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; (გ) საერთო სასამართლოებში სამართალწარმოების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

აღნიშნული ხედვის განსახორციელებლად, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეიმუშავებს საერთო სასამართლოების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმას.

საერთო სასამართლოების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაცია წარედგინება საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ყოველწლიურ ანგარიშთან ერთად, ასევე ცნობის სახით ეგზავნება საქართველოს პარლამენტს.

მიზანი 1.	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასამართლო შენობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა**	
ამოცანა 1.1.	საერთო სასამართლოების შენობების ადაპტირების სტანდარტების შესწავლა და დანერგვა	
	ამოცანის შედეგის ინდიკატორი: შემუშავებულია დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სასამართლოს შენობების ადაპტირების სტანდარტები	
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: ადაპტირების სტანდარტები არ არის განსაზღვრული	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი;** ადაპტირების სტანდარტები განსაზღვრულია
აქტივობა 1.1.1.	**სასამართლოს შენობების ადაპტირების საჭიროებების განსაზღვრა**	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სასამართლოს შენობების ადაპტირების საჭიროებები	**დაფინანსების წყარო** სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები
აქტივობა 1.1.2.	**სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი სარემონტო სამუშაოების შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“**	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი რემონტები შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით გათვალისწინებულ სტანდარტებს	**დაფინანსების წყარო** სახელმწიფო ბიუჯეტი
მიზანი 2.	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასამართლოს სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა**	
ამოცანა 2.1.	სასამართლოს ელექტრონული სერვისების ადაპტირება	
	ამოცანის შედეგის ინდიკატორი: შემუშავებულია დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სასამართლოს ელექტრონული სერვისების მისაწვდომობის ხარისხი	
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: ელექტრონული სერვისები საჭიროებს შემდგომ ადაპტირებას	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:** ელექტრონული სერვისები ადაპტირებულია
აქტივობა 2.1.1.	**საერთო სასამართლოების ელექტრონული სერვისების მისაწვდომობის აუდიტის ჩატარება**	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: ჩატარებულია IT აუდიტი, რომლითაც განსაზღვრულია საერთო სასამართლოებში	**დაფინანსების წყარო** სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები

	ელექტრონული სერვისების მისაწვდომობის გაზრდის საჭიროებები	
აქტივობა 2.1.2.	**საერთო სასამართლოების ვებ-გვერდების ადაპტირების მიზნით საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი დოკუმენტის შექმნა ადაპტირების ფინანსური საჭიროებების შესახებ**	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	**დაფინანსების წყარო**
	შექმნილია დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია საერთო სასამართლოების დომენში შემავალი ვებ-გვერდების ადაპტირების საჭიროებები	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები
აქტივობა 2.1.3.	**სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფის დატრენინგება მისაწვდომი ელექტრონული სისტემების თაობაზე**	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	**დაფინანსების წყარო**
	სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფს გავლილი აქვს ტრენინგი მისაწვდომი ელექტრონული სისტემების თაობაზე	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები
ამოცანა 2.2	**სასამართლო ფორმების ხელმისაწვდომობის გაზრდა**	
	ამოცანის შედეგის ინდიკატორი: სასამართლო ფორმების ხელმისაწვდომობა გაზრდილია	
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: არსებობს ადაპტირებული სასამართლო ფორმები, თუმცა აღნიშნული ფორმების ხარისხი საჭიროებს შემდგომ კვლევას	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:** სასამართლო ფორმები მაქსიმალურად ადაპტირებულია
აქტივობა 2.2.1	**სარჩელისა და შესაგებლის ფორმების ადაპტირების ხარისხის შესწავლა ექსპერტის დახმარებით და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ფორმების უკეთ ადაპტირების მიზნით**	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	**დაფინანსების წყარო**
	შემუშავებულია რეკომენდაციები სარჩელისა და შესაგებლის ფორმების ადაპტირების მიზნით	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები
მიზანი 3.	**საერთო სასამართლოებში სამართალწარმოების ხელმისაწვდომობის გაზრდა**	
ამოცანა 3.1	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის სტანდარტის გაზრდა	
	ამოცანის შედეგის ინდიკატორი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის სტანდარტები გაზრდილია	
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული შეზღუდული	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროცესის მონაწილეებთან კომუნიკაციის სტანდარტები დანერგილია საერთო

	შესაძლებლობის მქონე პროცესის მონაწილეებთან მუშაობის სტანდარტები	სასამართლოებში
აქტივობა 3.1.1	**იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მოსამართლეებისთვის და სასამართლოს მოხელეებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით სასწავლო მოდულის შემუშავება და დანერგვა, ასევე აღნიშნული მოდულის იუსტიციის მსმენელთა სასწავლო პროგრამაში შეტანა**	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	**დაფინანსების წყარო**
	სასწავლო მოდული შემუშავებულია	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები
აქტივობა 3.1.2	**სასამართლოს ხელმისაწვდომობის გაზრდისა და საერთო სასამართლოების წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა**	
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	**დაფინანსების წყარო**
	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი ორგანიზაციები